ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №106064

ნომერი: AR132149

თარიღი : 23.03.2012

გაცემის თარიღი : 05.04.2012

გაცნობის თარიღი : 05.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 23 მარტის #AR132149 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ინგოროყვას ქ. #3–ში, ნაკვ. #067/002–ზე მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, საკითხი განიხილული იქნა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს-გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომაზე, რომლის დასკვნის შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს მიეცა უარყოფითი შეფასება.

2012 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #13, პუნქტი 44-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ვლადიმერ აბრამიშვილს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ინგოროყვას ქ. #3–ში ნაკვ. #067/002 მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.